ანტიკორუფციული ბიურო

ბრძანება

24/10/2024

№ 00014776

წლის განმავლობაში შესამოწმებელ თანამდებობის პირთა შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის შექმნის მიზნით, განცხადებებისა და შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის თარიღის განსაზღვრისა და კომისიაში გაწევრების პირობების შესახებ

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18[1] მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის №81 დადგენილებით დამტკიცებული „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის“ მე-7 და მე-8 მუხლებისა და სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2024 წლის 05 აგვისტოს №5 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ანტიკორუფციული ბიუროს დებულების“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. წლის განმავლობაში შესამოწმებელ თანამდებობის პირთა შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის (შემდგომში - კომისია) შექმნის მიზნით, კომისიაში გაწევრების მსურველ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს მიეცეთ შესაძლებლობა, სსიპ - ანტიკორუფციულ ბიუროში წარმოადგინონ განცხადება და შესაბამისი დოკუმენტაცია/ინფორმაცია არაუგვიანეს 2024 წლის 14 ნოემბრისა.

2. სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (https://acb.gov.ge) 2024 წლის 24 ოქტომბერს გამოქვეყნდეს კომისიაში გაწევრების პირობები დანართის შესაბამისად.

0114 თბილისი, ინგოროყვას ქ.N7
info@acb.gov.ge

3. კომისიაში გაწევრების მსურველმა კანდიდატებმა წარმოადგინონ დანართით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რაჟდენ კუპრაშვილი
ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი